

დიდ მოამაგის დაკარგვა და საშინელი სენი

(1911 წელი, „სახალხო გაზეთი“)

ჩვენს ბედკრულს ქვეყანას მუხთალმა ბედმა მოსტაცა დიდი მოამაგე დავით ზაქარიას-მე სარაჯიშვილი. ერთის წლის წინად ეს ძალ-ღონით აღსავსე ქართველი მომავალი იმედებით იყო გამხნეებული, დღეს უღმობელმა სიკვდილმა გამოასალმა იმედებსაც, სიცოცხლესაც და საყვარელს სამშობლოსაც.

მე ამ ჟამად არ ძალმიძს აღვუსხო არც დიდი ამაგი განსვენებულისა და არც მისი უმაგალითო ქველმოქმედება. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ განსვენებულს მამამისისგან დარჩა მცირედი თანხა. და მან ეს თანხა თავისი ცოდნით და მხნეობით მილიონებად გადააქცია, თუმცა თავის მომუშავეთ აძლევდა იმდენს საფასს, რამდენსაც არც ერთი მასზე მდიდარი მილიონერი არ იმეტებდა და არ იმეტებს. და ბოლოს მთელი თავისი დიდი ქონება, შეძენილი პატიოსანი გზით და უმწიკვლო მოქმედებით, მან დაუტოვა ქვეყანასა.

განსვენებული იყო თბილისის მოქალაქის შვილი და მასში მოქალაქეობრივი ღირსებანი უმაღლეს წერტილამდინ იყვნენ ასულნი საფუძვლიანი ევროპიულის განათლების მეოხებით.

იგი რომ ჩვენებურის ბრწყინვალე წოდების წევრი ყოფილიყო, მამისაგან დანარჩენილს თანხას სწრაფად გაფლანგავდა, გადატაკდებოდა, შაბათის გლახათ გადიქეოდა და თვითონაც პირადად გახდებოდა ქველმოქმედების ობიექტად, რის მაგალითებს ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ ახლანდელს დროში. ბედად იგი დაიბადა მოქალაქედ და გარდაიცვალა სასიქადულო მოქალაქედვე, რასაც ჩვენს შორის ჯერ არც ერთი ბრწყინვალე შემძლებელი არ ღირსებია.

მე ამ ჟამად მწადიან ორიოდე სიტყვით შევეხო იმ საშინელს სენს, რომელმაც იმსხვეპლა ჩვენი სახელოვანი თანამემულე. ამ სენს რუსულად ეძახიან რაკს, ქართულად-კუს. ეს სენი ჩვენს ძვირფასს დავითს გაუჩნდა ერთი წლის წინად ნაწლავებში და ევროპის საუკეთესო ექიმებმა ვერაფერი გააწყეს ვერც წამლებით და ვერც ოპერაციებით. ამ უღმობელმა სენმა საქართველოს წაართვა იმისთანა შვილი, რომელსაც დღეს ბადალი არ ჰყავს ჩვენში და რომლის დაკარგვამ გააჩინა ვეებერთელა ცარიელი ადგილი, რომელსაც ვინ იცის როდის დაიჭერს რომელიმე ღირსეული ქართველი მოქალაქე.

საოცარია, რომ ეს საშინელი სენი უფრო იმათ ემტერება, ვინც დაჯილდოვებულნი არიან მაგარის აგებულებით. ამ სენმა თბილისში, ჩემს ნაცნობებში, იმსხვერპლა: ექიმი მალინინი, ექიმი ბაბოვი, ვექილი საყვარელიმე, მემაღაზიე გრიქუროვი, ნადირექტორალი მარკოვი, რომელთაც მაგარი აგებულება ასის წლის სიცოცხლეს აღუქვამდა. რუსეთში კუმ ბოლო მოუღო, სხვათა შორის, იანოვსკის, ჩვენში მზრუნველად ნამყოფს, პიროგოვს- სახელოვან ქირურგს და ბევრს სხვებსა.

ეს სენი უჩნდება არა ერთს რომელსამე ასოს ადამიანისას, არამედ თითქმის ყველას: ტუჩს, ენას, ყელს, კუჭს, ნაწლავებს, თირკმელს, ღვიძლს, სასქესო ჯირკვლებს და სხვებსაც.

დღემდინ მედიცინამ მისი წამალი არ იცის, თუ რა პირობანი, რაგვარი ცხოვრება, რანაირი ჭამა-სმა უწყობს ხელს ამ მამაკვდინებელი სენის ჩასახვას და გაძლიერებას.

ამბობენ, რუსეთში ეს სენი ერთ ორად და სამად უფრო გავრცელებულია, ვიდრე საქართველოშიაო. და ამას იმითი ჰხსნიან, რომ კავკასიური ციების მიკრობები ებრძვიან კუს მიკრობებსა და სძლევენო. თუ ეს მართლია, მართლდება ძველი ქართული ანდაზა: ზოგი ჭირი მარგებელიაო.

ძალიან კარგი იქნება და ფრიად სასარგებლო, თუ ამ უუბედურესი შემთხვევით ისარგებლებენ ქართველი ექიმები და განუმარტავენ ქართველს საზოგადოებას, თუ რა მიზეზები ჰბადებს ამ სენსა და რა გარემოებანი უწყობენ ხელს მის გაძლიერებას, რა ღონისძიებით შეუძლიან ადამიანს ამ სენის თავიდან აცილება და სხვა. მართლია, ეს საკითი ჯერ სავსებით გამოკვლეული არ არის, მაგრამ რაც ამ ჟამად სამეცნიერო მედიცინამ იცის კუს შესახებ, იმისი განმარტებაც ზოგს მაინც იხსნის ამ სენის შეხვედრისას, და ეს კი დიდი ღვაწლი იქმნება ჩვენის ექიმების მხრივ.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

ანი კომლაძემ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელს სავანის საჯარო სკოლის მოსწავლემ.

21 აპრილი, 2020 წელი

#დარჩისახლში